

განწყობის როლის სპორტში, ფსიქო–ფიზიოლოგიური თავისებურებები და
მათი ცვლილებები პლაცებო ეფექტიანი
საკვები დანამატების გამოყენებისას

გიორგი ჯანაიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენლია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებთა და ხელოვნების ფაკულტეტის გამოყენებითი ფსიქოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სკოლის ფსიქოლოგი, ფსიქოლოგ–კონსულტანტი, ინკლუზიური განათლების
სპეციალსტი

მიმართულება: სკოლის ფსიქოლოგი, ფსიქოლოგ–კონსულტანტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ მაყაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2014

აბსტრაქტი

აბსტრაქტი ქართულ ენაზე

რა შეიძლება იყოს სადიპლო ნაშრომის საფუძველი ფსიქოლოგისათვის თუ არა სურვილი, შექმნა რაიმე აქტუალური პრობლემის გარშემო ახალი ხედვა, ბიძგი მისცე საინტერესო საკითხის გარშემო ინფორმაციული ვაკუუმის რღვევას და მოახდინო საკუთარი თავის, როგორც განვითარებადი პროფესიონალის წარმოჩენა. მე პირადად 9 წელია დაკავებული ვარ სპორტით და ძნელი აღმოჩნდა გვერდი ამევლო ამ ფაქტისათვის, მითუმეტეს, რომ ფსიქოლოგია დღეს ჩამოშორებულია სპორტს და ეს სწორედ მაშინ, როდესაც არავინ უარყოფს ჩვენი მეცნიერებისაგან მისაღები სარგებლის მნიშვნელობას. ჩემი მიზანი კონკრეტულად იყო მეჩვენებინა სპორტული შედეგის გაუმჯობესებაში, რამდენად დიდია განწყობის როლი, მიმელო შედეგები უშუალოდ პლაცებო ეფექტით და დამემტკცებინა განწყობა სპორტში უფრო მეტია, როგორც დიმიტრი უზნაძის თეორია, ვიდრე უბრალოდ დესეპტიური ინფორმაცია .

ჩემი კვლევა ტექნიკური თვალსაზრისით წარმოადგენს ერთი შემთხვევის აღწერის მეთოდს, სადაც წინასწარ შემუშავებული რუტინით ხორციელდებოდა 6 კვირიანი ექსპერიმენტი, გამოვიყენე პლაცებო ეფექტიანი საკვები დანამატი და უშუალოდ პროცესში აქტიურად ვმუშაობდი სპორტმენტა მავნე ე.წ. ფიქსირებულ განწყობებზე, რომელთაც შეეხოჭათ მათი გონება და სხეული, ისინი ხომ პირველობისაკენ უნდა ისწრაფოდნენ? გამოვავლინე თავისებურებები, რაც ახლავს სპორტში პლაცებო ეფექტიანი საკვები დანამატების გამოყენებას და ბოლოს, წარმოვაჩინე ჭეშმარიტი პლაცებო ეფექტი განწყობის თეორიის გამოყენებით.

მიღებული შედეგები ცხადია სტატისტიკურად ვერ დამუშავდებოდა, კვლევის მეთოდის სპეციფიკიდან გამომდინარე, შედეგები გადატანილა გრაფიკებზე უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის. მიღებული შედეგები კი თვალნათელი მაგალითია

და მტკიცებულება იმისა, თუ რამდენად შეიძლება ფსიქიკით მანიპულირება ფიზიოლოგიურ მონაცემებზე. კვლევის შედეგებიდან გამოტანილი დასკვნები სწორედ ამ საკითხის გარშემო ტრიალებს და გაცემული რეკომენდაციებიც დაფუძნებულია დასკვნებზე.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: განწყობის თეორია, პლაცებო, სპორტი.